# ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ.თბილისი

16 სექტემბერი 2014 წელი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, სსიპ "თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრის" დირექტორი ეკატერინე მაზმიშვილი, ხელის მოწერით ადასტურებს, რომ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის განხორციელებაში სს "გუდვილის" მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორი ეკატერინე მაზმიშვილი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 16/09-2

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „16“ სექტემბერი 2014 წ.

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი“ ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. **ხელშეკრულების დამდები მხარეები**

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ სსიპ **“თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი” დირექტორი ეკატერინე მაზმიშვილის** სახით (შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ **სს „გუდვილი” ს/კ 206343991** (შემდგომში „მიმწოდებელი”) შორის.

3. **ხელშეკრულების საგანი**

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **2014 წლის თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის გახსნის ღონისძიების ფარგლებში, 2014 წლის 20 სექტემბერს, 300 ადამიანის კვების მომსახურების შესყიდვა (CPV-55300000).**

შესყიდვა განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” კანონის მე-$10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „დ” ქვეპუნქტის საფუძველზე.

4. **ხელშეკრულების ღირებულება**

4.1. გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს **6094.00 (ექვსიათასოთხმოცდათოთხმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს,** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

5. **მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად გაუწიოს მომსახურება.

6. **ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

6.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ღონისძიებების და პროექტების მენეჯერი ნატო ებანოიძე.

6.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 2 (ორი) დღეში გამოასწოროს გამოვლენილი დეფექტი ან ნაკლი.

**7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი**

7.1 მომსახურება გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

**8. ანგარიშსწორება**

8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

8.2 ანარიშსწორება მოხდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში.

8.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ან ნაღდი. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

**9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

9.1 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**10. ფორს-მაჟორი**

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

**11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის**

11.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.4. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1% ოდენობით.

11.2 იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.3 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 8.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1% ოდენობით.

11.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**12. ხელშეკრულების შეწყვეტა**

12.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. დავების გაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

13.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 21 ოქტომბრამდე.

14.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| სსიპ „თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი” | სს „გუდვილი” |
| მის: შარტავას ქ. №7 | მის: ჭავჭავაძის გამზ. №9 |
| ს/კ 205280177 | ს/კ 206343991 |
| ს.ს ბანკი რესპუბლიკა ც.ფ | ს.ს თი ბი სი ბანკი |
| ბ.კ REPLGE22 | ბ.კ TBCBGE22 |
| ა.ა GE60 BR00 0001 0497 7200 64 | ა.ა GE61TB3615336020100004 |
| დირექტორი: | გენ. დირექტორი |
| ეკატერინე მაზმიშვილი | ბესიკ ჯიქურაული |
| (ბ.ა.) | (ბ.ა.) |

1 სასაქონლო ზედნადები № ელ-0136076426

| 2 | 20/09/2014 | 3 | 18:14 |
|---|---|---|---|
| | თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | | დრო (საათი, წუთი) |

| 4 | სს გუდვილი | 206343991 | 5 | სსიპ - თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი | 205280177 |
|---|---|---|---|---|---|
| | გამყიდველის(გამგზავნის) დასახელება ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი | | მყიდველის(მიმღების) დასახელება ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი |

6 ოპერაციის შინაარსი: ტრანსპორტირებით — მიწოდების სახე

7 თბილისი, ფარნავაზ მეფის ქ No1 — ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8 ერეკლეს ქუჩა — ტრანსპორტირების დამთავრების ადგილი (მისამართი)

9 საავტომობილო — ტრანსპორტირების სახე

10 TVT501 — სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი; მისაბმელი

11 მძღოლის პირადი ნომერი: 01020002618

12 გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი: 0.00

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| რიგითი № | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი * | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| I | II | III | IV | V | VI | VII |
| 1 | "სნო" - წყალი პეტი 0.5ლ | 4860102580017 | ცალი | 100.0000 | 0.4000 | 40.0000 |
| 2 | SANDORA - ნატურალური წვენი ალუბლის 1ლ | 4823063105736 | ცალი | 35.0000 | 3.7900 | 132.6500 |
| 3 | SANDORA - ნატურალური წვენი ანანასის 1ლ | 4823063106887 | ცალი | 35.0000 | 3.7900 | 132.6500 |
| 4 | SANDORA - ნატურალური წვენი ფორთოხლის 1ლ | 4823063106894 | ცალი | 35.0000 | 3.7900 | 132.6500 |
| 5 | SELPAK-ხელსახოცი 24x100ც 2 ფენა (9611016),8690530222519 | 8690530222519 | ცალი | 6.0000 | 3.5500 | 21.3000 |
| 6 | კანაპე ლორით და ყველით (ფურშეტი) | 9905619 | ცალი | 90.0000 | 1.8000 | 162.0000 |
| 7 | კანაპე სალიამით (ფურშეტი) | 9905621 | ცალი | 90.0000 | 2.3000 | 207.0000 |
| 8 | კანაპე ყველი სოკოთი (ფურშეტი) | 9905620 | ცალი | 90.0000 | 1.8000 | 162.0000 |
| 9 | მწვადი ქათმის ფილეთი (ფურშეტი) | 9905602 | ცალი | 150.0000 | 1.5000 | 225.0000 |
| 10 | პომიდორი ჩერი მდნარი ყველით (ფურშეტი) | 9905622 | ცალი | 100.0000 | 1.0000 | 100.0000 |
| 11 | ტარტალეტკა ისპანახით (ფურშეტი) | 9905616 | ცალი | 150.0000 | 1.5000 | 225.0000 |
| 12 | ღვეზელი საქონლის ხორცის ნახევრად ფენოვანი – მინი (ფურშეტი) | 9905627 | ცალი | 100.0000 | 0.7000 | 70.0000 |

13 5,364.25 ხუთი ათას სამას სამოცდაოთხი ლარი და ოცდახუთი თეთრი
თანხა სულ (სიტყვიერად)

14 მეგი როსტიაშვილი
გამყიდველი (გამგზავნი) საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15
მყიდველი (მიმღები) საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16 ხელმოწერა

17 ხელმოწერა

18 მიწოდებული საქონლის ჩაბარების
თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) დრო (საათი, წუთი)

19
შენიშვნა

* დღგ-ს გადამხდელისთვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზისჩათვლით

ზედნადების სტატუსი:აქტიური ბეჭდვის დრო:20/09/2014 18:21:14

№ 0136076426 სასაქონლო ზედნადების დანართი

| | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი * | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| I | II | III | IV | V | VI | VII |
| 13 | ბუშე ქათმის სალათით (ფურშეტი) | 9905734 | ცალი | 100.0000 | 1.5000 | 150.0000 |
| 14 | ეგზოტიკური ხილის ასორტი (ფურშეტი) | 9905737 | ცალი | 10.0000 | 50.0000 | 500.0000 |
| 15 | ევროპული ყველის ასორტი (ფურშეტი) | 9906810 | ულუფა | 5.0000 | 40.0000 | 200.0000 |
| 16 | კაპრეზე ჭურჭელში (ფურშეტი) | 9905683 | ცალი | 100.0000 | 1.5000 | 150.0000 |
| 17 | მაკარუნი ვანილის - მინი | 9906080 | ცალი | 13.0000 | 0.8000 | 10.4000 |
| 18 | მაკარუნი კარამელის - მინი | 9906045 | ცალი | 15.0000 | 0.8000 | 12.0000 |
| 19 | მაკარუნი მარწყვის - მინი | 9906082 | ცალი | 13.0000 | 0.8000 | 10.4000 |
| 20 | მაკარუნი პოსიონის კრემით - მინი | 9906035 | ცალი | 13.0000 | 0.8000 | 10.4000 |
| 21 | მაკარუნი ყავის - მინი | 9906081 | ცალი | 13.0000 | 0.8000 | 10.4000 |
| 22 | მაკარუნი შოკოლადის - მინი | 9906030 | ცალი | 13.0000 | 0.8000 | 10.4000 |
| 23 | მინი კანოლი ჟოლოთი (ფურშეტი) | 9906830 | ცალი | 100.0000 | 1.5000 | 150.0000 |
| 24 | მინი ტარტალეტკა კრევეტით (ფურშეტი) | 9905643 | ცალი | 150.0000 | 1.5000 | 225.0000 |
| 25 | მინი ტარტალეტკა ხიზილალით (ფურშეტი) | 9905631 | ცალი | 150.0000 | 1.5000 | 225.0000 |
| 26 | ნოჩიოლა თეთრი შოკოლადით (ფურშეტი) | 9906768 | ცალი | 30.0000 | 1.0000 | 30.0000 |
| 27 | ნოჩიოლა რძიანი შოკოლადით (ფურშეტი) | 9906770 | ცალი | 30.0000 | 1.0000 | 30.0000 |
| 28 | ნოჩიოლა შ ავი შოკოლადით (ფურშეტი) | 9906769 | ცალი | 30.0000 | 1.0000 | 30.0000 |
| 29 | ჟოლო თეთრ შოკოლადში ჭურჭელში (ფურშეტი) | 9905711 | ცალი | 100.0000 | 1.5000 | 150.0000 |
| 30 | სიომგას მწვადი კრევეტით (ფურშეტი) | 9905669 | ცალი | 150.0000 | 3.0000 | 450.0000 |
| 31 | ტარტალეტკა სოკოთი (ფურშეტი) | 9905682 | ცალი | 150.0000 | 1.5000 | 225.0000 |
| 32 | ტირამისუ ფურშეტის პიროტინებში (ფურშეტი) | 9905742 | ცალი | 100.0000 | 1.0000 | 100.0000 |
| 33 | ტორტიკი "თაფლის ნუგბარი" (ფურშეტი) | 9906870 | ცალი | 100.0000 | 1.0000 | 100.0000 |
| 34 | ტრუფელი "ლაიმა" | 9906014 | ცალი | 40.0000 | 1.0000 | 40.0000 |
| 35 | ტრუფელი "როშე" (თხილით) | 9906008 | ცალი | 40.0000 | 1.2500 | 50.0000 |
| 36 | ქათმის კანაპე ბეკონით (ფურშეტი) | 9906812 | ცალი | 90.0000 | 3.0000 | 270.0000 |
| 37 | ქამა სოკო ყველით (ფურშეტი) | 9906815 | ცალი | 100.0000 | 1.2000 | 120.0000 |
| 38 | ქლიავის ჩირი ბეკონით (ფურშეტი) | 9906853 | ცალი | 90.0000 | 1.5000 | 135.0000 |
| 39 | ღორის ხორცის მწვადი გრილზე (2 ნაჭრ.) (ფურშეტი) | 9905664 | ცალი | 150.0000 | 2.0000 | 300.0000 |
| 40 | ხაჭაპური ნახევრად ფენოვანი - ნაჭრებად (ფურშეტი) | 9906873 | ცალი | 100.0000 | 0.6000 | 60.0000 |

13 | 5,364.25 | ხუთი ათას სამას სამოცდაოთხი ლარი და ოცდახუთი თეთრი

თანხა სულ (სიტყვიერად)

14

გამყიდველი (გამგზავნი) საქონლის ბაზარზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი) და გვარი)

15

მყიდველი (მიმღები) საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი) და გვარი)

16

17

| საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი * | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|
| II | III | IV | V | VI | VII |

ხელმოწერა

ხელმოწერა

| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | | |
|---|---|---|---|

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

| 19 | |
|---|---|

შენიშვნა

* დღგ-ს გადამხდელისთვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზისჩათვლით

# აქტი № 0136076426/1

## მომსახურეობის გაწევის შესახებ

20 სექტემბერი, 2014 წ.

| 2 | 0 | 6 | 3 | 4 | 3 | 9 | 9 | 1 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

საიდენტიფიკაციო ნომერი ან პირადი ნომერი

| 2 | 0 | 5 | 2 | 8 | 0 | 1 | 7 | 7 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

საიდენტიფიკაციო ნომერი ან პირადი ნომერი

მიმწოდებელი სს "გუდვილი"
დასახელება

ან სახელი და გვარი

ქ. თბილისი, ჭავჭავაძის 9
იურიდიული მისამართი

თბილისი, ფარნავაზ მეფის ქ No1
სერვის ცენტრის მისამართი

სს "გუდვილი" - ჰიპერმარკეტი გუდვილი-დიღომი
სერვის ცენტრის დასახელება

მიმღები სსიპ "თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი"
დასახელება

ან სახელი და გვარი

ფიზიკური პირის პირადი ნომერი

გამცემი ორგანო და გაცემის თარიღი

შარტავას ქ.7
იურიდიული მისამართი

ავტომობილის სახელმწიფო სერია და ნომერი

სამეურნეო ოპერაცია: *მომსახურეობის მიწოდება*

| № | მომსახურეობის დასახელება | მომსახურეობის გაწევის ადგილი | მომსახურეობის გაწევის პერიოდი | მომსახურეობის ღირებულება დღგ-ს ჩათვლით |
|---|---|---|---|---|
| 1 | ინვენტარის გაქირავება (ღვინის ჭიქა) | | სექტემბერი, 2014 წ. | 150.0000 |
| 2 | პერსონალის მომსახურება | | სექტემბერი, 2014 წ. | 549.7497 |
| | სულ თანხა: | | | 699.75 |

### მომსახურეობის მიწოდების და მიღების დადასტურება

მომსახურეობის მიწოდებას ვადასტურებ:

მიმწოდებლის წარმომადგენელი

20 სექტემბერი, 2014 წ.

მომსახურეობის მიღებას ვადასტურებ:

მიმღების წარმომადგენელი

20 სექტემბერი, 2014 წ.

# აქტი № 0136076426/2

## მომსახურეობის გაწევის შესახებ

20 სექტემბერი, 2014 წ.

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 0 | 6 | 3 | 4 | 3 | 9 | 9 | 1 | | |

საიდენტიფიკაციო ნომერი ან პირადი ნომერი

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 0 | 5 | 2 | 8 | 0 | 1 | 7 | 7 | | |

საიდენტიფიკაციო ნომერი ან პირადი ნომერი

მიმწოდებელი სს "გუდვილი"

დასახელება

ან სახელი და გვარი

ქ. თბილისი, ჭავჭავაძის 9

იურიდიული მისამართი

თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი 1

სერვის ცენტრის მისამართი

სს "გუდვილი"

სერვის ცენტრის დასახელება

მიმღები სსიპ "თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი"

დასახელება

ან სახელი და გვარი

ფიზიკური პირის პირადი ნომერი

გამცემი ორგანო და გაცემის თარიღი

შარტავას ქ.7

იურიდიული მისამართი

ავტომობილის სახელმწიფო სერია და ნომერი

სამეურნეო ოპერაცია: *მომსახურეობის მიწოდება*

| № | მომსახურეობის დასახელება | მომსახურეობის გაწევის ადგილი | მომსახურეობის გაწევის პერიოდი | მომსახურეობის ღირებულება დღგ-ს ჩათვლით |
|---|---|---|---|---|
| 1 | სატრანსპორტო მომსახურება | | სექტემბერი, 2014 წ. | 30.0000 |
| | სულ თანხა: | | | 30.00 |

## მომსახურეობის მიწოდების და მიღების დადასტურება

მომსახურეობის მიწოდებას ვადასტურებ:

მიმწოდებლის წარმომადგენელი

20 სექტემბერი, 2014 წ.

მომსახურეობის მიღებას ვადასტურებ:

მიმღების წარმომადგენელი

20 სექტემბერი, 2014 წ.

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ.თბილისი 20 სექტემბერი 2014 წელი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ვადასტურებ, რომ სსიპ "თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრსა" და სს "გუდვილს" შორის 2014 წლის 16 სექტემბერს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების №16/09-2 ფარგლებში გასაფორმებელ მიღება-ჩაბარების აქტებთან დაკავშირებით, სს "გუდვილთან" ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი:

სსიპ "თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრის" ღონისძიებების და პროექტების მენეჯერი:

ნატო ებანოიძე